ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **201832019**
თარიღი: **16/11/2018**
პინი: **2994**

ადრესატი: შპს ბუმ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406183400
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, საექიმოს გასასვლელი, N1, სადარბაზო 1, სართული 11

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01182602646-67
განცხადების თარიღი: 17/09/2018

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.19.17.001.060
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ორხევის სამრეწველო ზონა
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : შპს "ბუმ გრუპი"

განმცხადებელი-დამკვეთი :შპს ბუმ გრუპი
ორგანიზაციის ნომერი :406183400
მისამართი :საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, საექიმოს გასასვლელი, N1, სადარბაზო 1, სართული 11

ნომენკლატურა :განაშენიანების რეგულირების გეგმა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება /

სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 17 სექტემბრის 01182602646-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ორხევის სამრეწველო ზონაში (№01.19.17.001.060) საწყობის და წყლის რეზერუარების განთავსების მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას.

გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მე-8მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებამდე, შესაძლებელია მიწის ნაკვეთების სამშენებლო გამოყენება, ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში არსებითი ცვლილებების შეტანის უფლების გარეშე, განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება მოხდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამუშავების გარეშე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით. რისთვისაც განაცხადი უნდა ატვირთოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ პორტალზეwww.tas.ge-ზე შესაბამის ნომენკლატურაში.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი